ცვლილება დამტკიცებულია

რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის №501 ბრძანებით
(ბრძანების ძალაში შესვლის თარიღი 03.10.2024წ.)

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

სტუდენტის და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში „უნივერსიტეტი") პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაცია და გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. ამ მიზნით, უნივერსიტეტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული თანამშრომლობითი მემორანდუმების საფუძველზე ახორციელებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს.

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის სახეებს; მასში სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) მონაწილეობის წესებსა და პირობებს; კონკურსის ეტაპებს, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარების წესებს და გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებს;

1.3. უნივერსიტეტი სტუდენტების გაცვლით პროგრამებს ახორციელებს უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე;

1.4. სტუდენტების და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) გაცვლა ხორციელდება უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

1.5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, უნივერსიტეტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან იღებს წერილობით ინფორმაციას, შესაბამისი უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ;

1.6. სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ხორციელდება არაუმეტეს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.

მუხლი II. გაცვლითი პროგრამის სახეები

2.1. უნივერსიტეტი სტუდენტებს, აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს სთავაზობს შემდეგ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს:

ა) ერაზმუს + გაცვლითი პროგრამა;

ბ) გაცვლითი პროგრამები პარტნიორ უნივერსიტეტებთან ბილატერალური შეთანხმებების ფარგლებში.

მუხლი III. კონკურსის გამოცხადება და ინფორმაციის განთავსება

3.1. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ამტკიცებს გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრისათვის კონკურსის გამოცხადებას და საკონკურსო კომისიას, რასაც შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს რექტორი. ბრძანებაში აისახება საერთაშორისო აკადემიური გაცვლითი პროგრამის ვადა, საკონკურსო პირობები, შერჩევის კრიტერიუმები და წესი;

3.2. ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და უნივერსიტეტს შორის დადებული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მათ შორის გაცვლითი პროგრამის სახე/ტიპი, ხანგრძლივობა, რეგისტრაციის ვადები და სხვა;

3.3 გაცვლითი პროგრამის საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.geomedi.edu.ge.;

3.4. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური კონკურსის შესახებ ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს დაინტერესებულ კანდიდატებთან წინასწარ გაწერილი გრაფიკით. ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

მუხლი IV. კონკურსში მონაწილეობის პირობები და წარსადგენი დოკუმენტაცია

4.1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები სტუდენტებისთვის განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) უნდა იყოს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;

ბ) უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი შესაბამისი მინიმალური ქულებით: (IELTS- 5.5; FCE- 160; TOEFL IBT- 60,TOEFL PBT - 500);

გ) ინგლისური ენის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არ ქონის შემთხვევაში, სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს B2 დონის დამადასტურებელი გამოცდა ინგლისური ენაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი- შეფასების 75%).

დ) უნდა ჰქონდეს მიმდინარე GPA მინიმუმ 2.8

ე) არ უნდა იყოს პირველი ან დამამთავრებელი წლის სტუდენტი;

ვ) არ უნდა ჰქონდეს მიღებული საყვედური ან დისციპლინარული სასჯელი სწავლის პერიოდში;

ზ) ერაზმუს+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისას არ უნდა ჰქონდეს მოპოვებული ერაზმუს+- ის გრანტი ანალოგიური საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის) სტუდენტებისათვის;

თ) საკონკურსო განაცხადის წარდგენის პერიოდისათვის უნდა სწავლობდეს მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ შესაბამის პროგრამაზე და საფეხურზე;

4.2. ***გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალისთვის განისაზღვრება შემდეგი სახით:***

ა) უნივერსიტეტში მოღვაწე აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ამოწურვამდე დარჩენილი უნდა ქონდეს არანაკლებ 2 წელი;

ბ) კანდიდატს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS- 5.5; FCE- 160; TOEFL IBT- 60,TOEFL PBT - 500) ან ჩააბაროს B2 დონის დამადასტურებელი გამოცდა ინგლისური ენაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი- შეფასების 75%).

4.3. **კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:**

ა) საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) CV ევროპასის ფორმით;

გ) სამოტივაციო წერილი;

დ) ინგლისური ენის, B2 დონის, დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ გაცემული ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი ცნობა;

ე) სასწავლო ბარათი;

ვ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ან ფაკულტეტის დეკანის 1 სარეკომენდაციო წერილი;

ზ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ დამატებითი დოკუმენტაცია, არსებობის შემთხვევაში;

თ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დანართი 1)

4.4. **კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის აკადემიურმა, სამეცნიერო, ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:**

ა) საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (დანართი 1)

გ) CV ევროპასის ფორმით;

დ) ინგლისური ენის B2 დონის, დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS; FCE; TOEFL) ან უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ გაცემული ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი ცნობა;

ე) ცნობა შრომითი ხელშეკრულების/კონტრაქტის ვადების შესახებ;

ვ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

მუხლი 5: საკონკურსო კომისია და კონკურსის ეტაპები სტუდენტებისათვის

5.1. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სტუდენტების შერჩევის პროცედურას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

5.2. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. კომისია შედგება 3 წევრისაგან.

ა. საკონკურსო კომისიის თავჯდომარე-რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ბ. კომისიის წევრები:

-საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - (კომისიის მდივანი)

-შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი

5.3. განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ აპლიკანტების შეფასება და ნომინირება ხდება ქვემოთ მითითებული ეტაპებისა და პროცედურების დაცვით:

ა) I **ეტაპი** - სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა. კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება კონკურსანტთა დოკუმენტაციის განხილვა. განიხილება მხოლოდ სრულყოფილად შევსებული საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება;

ბ) II **ეტაპი**- გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან ინგლისურ ენაზე, რომელიც წარიმართება პირისპირ ან დისტანციური პლატფორმის გამოყენებით. გასაუბრებაზე ფასდება კონკურსანტის მოტივაცია და კომუნიკაცია რომელთაგან თითოეულს ენიჭება მაქსიმუმ 2 (ორი) ქულა (ჯამში 4 ქულა), შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

მოტივაცია

0 ქულა- კონკურსანტი ვერ აყალიბებს საკუთარ მოტივაციას და/ან არ ესმის საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა;

1 ქულა-კონკურსანტი საუბრობს მოტივაციაზე გაცვლით პროგრამაში ჩართულობასთან დაკავშირებით, თუმცა ნაკლებად იაზრებს საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობას;

2 ქულა-კონკურსანტი არის მოტივირებული, სრულად აქვს გაცნობიერებული საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა

კომუნიკაცია

0 ქულა -კონკურსანტს არ აქვს მოსაზრების თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი, მსჯელობა არ არის დამაჯერებელი;

1 ქულა-კონკურსანტი დამაკმაყოფილებლად აყალიბებს მოსაზრებას; მსჯელობა ნაკლებ დამაჯერებელია;

2 ქულა-კონკურსანტი თანმიმდევრულად აყალიბებს მოსაზრებას, მსჯელობა არის ლოგიკური და დამაჯერებელი;

შენიშვნა 1: კონკურსანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადებიდან 1 დღის ვადაში. იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. სააპელაციო კომისია განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;

შენიშვნა 2: გასაუბრებაზე ერთნაირი ქულების მიღების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალი GPI მქონე სტუდენტს.

გ) III ეტაპი- კანდიდატთა ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მასპინძელ უნივერსიტეტს დადგენილ ვადებში უგზავნის სააპლიკაციო დოკუმენტებს და ნომინირებული კანდიდატების სიას საბოლოო შერჩევისათვის. საბოლოო შერჩევა ხდება პარტნიორი/მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ.

5.4. შერჩევის წესებისა და პროცედურის მოდიფიცირება შესაძლოა მოხდეს კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად;

5.5. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების შესახებ კონკურსანტები მიიღებენ ინფორმაციას მათ მიერ საკონკურსო განაცხადებში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და ტელეფონის ნომერზე;

5.7. გამარჯვებულ კანდიდატებს ელექტრონულად ეგზავნებათ შეტყობინება კონკურსის შედეგების თაობაზე. აგრეთვე შედეგები განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 6. აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკონკურსო კომისია და კონკურსის ეტაპები

6.1. აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გაცვლითი პროგრამის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. კომისია შედგება 3 წევრისაგან.

-საკონკურსო კომისიის თავჯდომარე-რექტორი

-კომისიის წევრები- რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

კონკურსი ტარდება 3 ეტაპად:

ა) I ეტაპზე ხდება წარდგენილი სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა საკონკურსო კომისიის მიერ. განიხილება მხოლოდ სრულყოფილად შევსებული საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება;

ბ) II ეტაპზე- გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან ინგლისურ ენაზე, რომელიც წარიმართება პირისპირ ან დისტანციური პლატფორმის გამოყენებით. გასაუბრებაზე ფასდება კონკურსანტის მოტივაცია და კომუნიკაცია რომელთაგან თითოეულს ენიჭება მაქსიმუმ 2 (ორი) ქულა (ჯამში 4 ქულა), შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

მოტივაცია

0 ქულა-კონკურსანტი ვერ აყალიბებს საკუთარ მოტივაციას და/ან არ ესმის საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა;

1 ქულა-კონკურსანტი საუბრობს მოტივაციაზე გაცვლით პროგრამაში ჩართულობასთან დაკავშირებით, თუმცა ნაკლებად იაზრებს საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობას;

2 ქულა-კონკურსანტი არის მოტივირებული, სრულად აქვს გაცნობიერებული საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა

კომუნიკაცია

0 ქულა-კონკურსანტს არ აქვს მოსაზრების თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი, მსჯელობა არ არის დამაჯერებელი;

1 ქულა-კონკურსანტი დამაკმაყოფილებლად აყალიბებს მოსაზრებას; მსჯელობა ნაკლებ დამაჯერებელია;

2 ქულა-კონკურსანტი თანმიმდევრულად აყალიბებს მოსაზრებას, მსჯელობა არის თანმიმდევრული და ლოგიკური;

შენიშვნა 1: კონკურსანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადებიდან 1 დღის ვადაში. იქმნება სააპელაციო კომისია რომლის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. სააპელაციო კომისია განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;

გ) III ეტაპზე ხდება კანდიდატის ნომინირება მასპინძელ უნივერსიტეტში. საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მასპინძელ უნივერსიტეტს დადგენილ ვადებში უგზავნის სააპლიკაციო დოკუმენტებს

და ნომინირებული კანდიდატების სიას საბოლოო შერჩევისათვის. საბოლოო შერჩევა ხდება პარტნიორი/მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ.

6.2. შერჩევის წესებისა და პროცედურის მოდიფიცირება შესაძლოა მოხდეს კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად;

6.3. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების შესახებ კონკურსანტები მიიღებენ ინფორმაციას მათ მიერ საკონკურსო განაცხადებში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და ტელეფონის ნომერზე;

6.4. გამარჯვებულ კანდიდატებს ელექტრონულად ეგზავნებათ შეტყობინება კონკურსის შედეგების თაობაზე. აგრეთვე შედეგები განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 7- სასწავლო ხელშეკრულება

7.1. კონკურსის შედეგად შერჩეულ სტუდენტთან, საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის კოორდინირებით ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება (იხილეთ დანართი 2), სადაც ჩამოთვლილია პარტნიორ უნივერსიტეტში გასავლელი კურსები და მათი შესატყვისები უნივერსიტეტის კრედიტების მითითებით. აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

მუხლი 8- კრედიტების აღიარება

8.1 გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კურსების ჩამონათვალი, შინაარსი და კრედიტების რაოდენობა წინასწარ განისაზღვრება გამგზავნ და მასპინძელ უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულებით, პროგრამის ხელმძღვანელების წინასწარი ერთობლივი მუშაობის და შეთანხმების საფუძველზე;

8.2. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, მასპინძელი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კონკრეტული სასწავლო კურსის ოფიციალური დამადასტურებელი ცნობის და ტრანსკრიპტის გაცემას;

8.3. სტუდენტი წარუდგენს მმობლიურ უნივერსიტეტს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს ნოტარიალურად დამოწმებულ თარგმანთან ერთად;

8.4. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტებს განიხილავს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს კრედიტების აღიარებას, გამგზავნ და მასპინძელ უნივერსიტეტს

შორის ხელშეკრულებაში კრედიტების აღიარებაზე არსებული შეთანხმების მიხედვით;

8.5. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის და კრედიტების აღიარების წესის" შესაბამისად.

მუხლი 9. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოელი სტუდენტის და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) მობილობა უნივერსიტეტში

9.1. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტები

9.1.1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურების და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს. მას შეუძლია გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, და შესაბამის ფაკულტეტზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე;

9.1.2. სტუდენტის შერჩევა და ნომინირება ხდება პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ. ნომინირებული სტუდენტების სია, სააპლიკაციო დოკუმენტებთან და ნომინირების წერილთან ერთად იგზავნება უნივერსიტეტში სადაც ხდება მათი საბოლოო შერჩევა საკონკურსო კომისიის მიერ;

9.1.3. საკონკურსო კომისია განიხილავს და აფასებს ნომინირებული კანდიდატების სააპლიკაციო დოკუმენტებს და იღებს გადაწყვეტილებას. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი სტუდენტთა სია ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც წარედგინება რექტორს, შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს და პარტნიორ უნივერსიტეტს ელექტრონული ფოსტით და ასევე ინფორმაცია გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.geomedi.edu.ge.

9.1.4. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს, კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს საქართველოში ცხოვრებისთვის ვიზა (საჭიროების შემთხვევაში, რაც განისაზღვრება ჩამომსვლელი ქვეყნის მიხედვით) და ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისი.

9.1.5. უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების შესახებ ინფორმაცია გამომგზავნ პარტნიორ უნივერსიტეტს ეგზავნება ელექტრონულად 4 კვირის ვადაში.

9.1.6. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სწავლების ენა არის ინგლისური.

9.2. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამომსვლელი აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

9.2.1. პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, არაუმეტეს I (ერთი) აკადემიური წლის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს მობილობით.

9.2.2. მობილობის მიზანი შეიძლება იყოს ლექციების წაკითხვა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან სამუშაო შეხვედრა, გამოცდილების გაზიარება;

9.2.3. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პერსონალს, კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს საქართველოში ცხოვრებისთვის ვიზა (საჭიროების შემთხვევაში, რაც განისაზღვრება ჩამომსვლელი ქვეყნის მიხედვით) და ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისი.

მუხლი 10. საერთაშორისო მოკლევადიანი პროგრამები (პრაქტიკული ტრენინგები, საზაფხულო სკოლები)

10.1. უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების /ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ მოკლევადიან პროგრამებში:

ა) პრაქტიკული ტრენინგები

ბ) საზაფხულო სკოლები

10.2. ინფორმაცია მოკლევადიანი პროგრამების შესახებ გამოქვეყნებული იქნება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

10.3. პარტნიორი უნივერსიტეტის/ინსტიტუციის მიერ გამოცხადებულ მოკლევადიან პროგრამაში მონაწილეობის მოთხოვნებს ადგენს მასპინძელი/მიმღები უნივერსიტეტი/ინსტიტუცია. პროგრამაში მონაწილეობისათვის სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს (იხ. მუხლი IV);

10.4. პარტნიორი უნივერსიტეტის/ინსტიტუციის მიერ გამოცხადებულ მოკლე-ვადიან პროგრამაში მონაწილეობის საფასურს იხდის სტუდენტი, გარდა იმ შემთხვევისა როცა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სტუმარი ან მასპინძელი უნივერსიტეტი აფინანსებს ამ პროგრამას;

10.5. პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა უნდა შეავსოს სააპლიკაციო ფორმა და წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურში, სადაც

მოხდება მათი განხილვა და გადაგზავნა მასპინძელ უნივერსიტეტში /ინსტიტუციაში.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. სტუდენტის და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წესს, აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი და ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

11.2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანების თანახმად.

შპს უნივერსიტეტი გეომედის საკონკურსო კომისიას

_____

(გვარი, სახელი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს უნივერსიტეტი გეომედის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოგიდგენთ თანდართულ დოკუმენტაციას გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

☐ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა.

☐ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გაცვლითი პროგრამა

"____" _____ 202_ წ. ხელმოწერა _____

(განცხადების შევსების თარიღი)

სასწავლო ხელშეკრულება

სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებისათვის

სტუდენტი

გვარი		სახელი	
დაბადების თარიღი		ეროვნება	
სქესი		აკადემიური წელი	20../20..
სწავლის საფეხური		სპეციალობა	
ტელეფონი		ელ. ფოსტა	

გამგზავნი უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის სახელწოდება		ფაკულტეტი	
მისამართი		ქალაქი ქვეყნის კოდი	
საკონტაქტო		ტელეფონი ელ. ფოსტა	

მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის სახელწოდება		ფაკულტეტი	
მისამართი		ქალაქი ქვეყნის კოდი	
საკონტაქტო		ტელეფონი ელ. ფოსტა	

გაცვლითი პროგრამის ტიპი და ხანგრძლივობა

გაცვლითი პროგრამის ტიპი (აირჩიეთ ერთი)	გაცვლითი პროგრამის ხანგრძლივობა
ერასმუს+ გაცვლითი პროგრამა გაცვლითი პროგრამები პარტნიორ უნივერსიტეტებთან ბილატერალური შეთანხმებების ფარგლებში. პრაქტიკული ტრეინინგები	

მასპინძელი უნივერსიტეტის სასწავლო კურსის დასახელება

(ცხრილი ა)			
სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სემესტრი	სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში
			სულ: ...

მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტის კურსის კატალოგის ვებ ბმული, რომელშიც აღწერილია სწავლის შედეგები:

სასწავლო კურსების აღიარება (მმობლიურ) უნივერსიტეტში

(ცხრილი ბ)				
სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სემესტრი	სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში	ავტომატური აღიარება
				დიახ ☐ არა ☐
				დიახ ☐ არა ☐
				დიახ ☐ არა ☐
				დიახ ☐ არა ☐
				დიახ ☐ არა ☐
				დიახ ☐ არა ☐
				დიახ ☐ არა ☐
			სულ: ...	

მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტის კურსის კატალოგის ვებ ბმული, რომელშიც აღწერილია სწავლის შედეგები

სასწავლო კურსის ვერ დასრულების შემთხვევაში, სტუდენტი:

თუ სტუდენტმა ვერ გაიარა სასწავლო კურსი, და ვერ მოიპოვა კრედიტი, მაშინ სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი კურსი გაიაროს მშობლიურ უნივერსიტეტში.

სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის შეფასება

სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია, სწავლის დაწყების პერიოდისათვის განისაზღვრება შემდეგი დონით: A1 A2 B1 B2 C1 C2

პასუხისმგებელი პირები:

საკონტაქტო პირი გამგზავნი უნივერსიტეტიდან
სახელი/გვარი:
ტელეფონი:
ელ. ფოსტა:

საკონტაქტო პირი მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტიდან
სახელი/გვარი:
ტელეფონი:
ელ. ფოსტა:

სამივე მხარე თანხმდება შემდეგზე:

ამ დოკუმენტზე ხელმოწერით, სტუდენტი, გამგზავნი უნივერსიტეტი და მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტი ადასტურებენ, რომ ისინი გაცნობილნი არიან შემოთავაზებულ სასწავლო ხელშეკრულებას. ისინი იღებენ ვალდებულებას, რომ შეასრულონ, კონკრეტული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ყველა ის აქტივობა, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამივე მხარესთან. გამგზავნი და მიმღები უნივერსიტეტები იღებენ ვალდებულებას იმოქმედონ უმაღლესი განათლების ERASMUS-ის ქარტიის პრინციპების ან მათ შორის გაფორმებულ შიდა-საუნივერსიტეტო ხელშეკრულების შესაბამისად.

მიმღები უნივერსიტეტი ადასტურებს, რომ "ა ცხრილში" ჩამოთვლილი სასწავლო კურსები შესაბამისობაშია მათი სასწავლო პროგრამების კატალოგში მოცემულ კურსებთან.

გამგზავნი უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, რომ აღიაროს მიმღებ/მასპინძელ უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ გაწვლილი სასწავლო კურსები ცხრილი ბ -ს შესაბამისად და ჩაუთვალოს მიღებული კრედიტები.

სტუდენტი და მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტი იღებენ ვალდებულებას საქმის კურსში ჩააყენონ გამგზავნი უნივერსიტეტი, გაცვლითი პროგრამის პერიოდში, ნებისმიერი პრობლემის ან ცვლილებების შესახებ.

სტუდენტი

სტუდენტის ხელისმოწერა _____

თარიღი: _____

გამგზავნი უნივერსიტეტი

პასუხისმგებელი პირები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: _____

პროგრამის ხელმძღვანელი: _____

თარიღი: _____

მიმღები უნივერსიტეტი

პასუხისმგებელი პირები

_____

_____

თარიღი: _____